

"ვერ ვენდობი, ესენი ჩვენი ერთგუდნი არ არიანო" - გიორგი XII რუსეთის შესახებ



ერეკლე II-ის უფროსი ვაჟი, უფლისწული გიორგი მუდამ გვერდით ედგა მამას სახედმწიფოს მართვაში. იგი მამაცი ვაჟკაცი ყოფიდა და კარგადაც ერკვეოდა მაშინდელ პოლიტიკაში.

გიორგის არაერთხელ ხმდით უხსნია ქვეყანა მომხდურთა თარეშისაგან. იგი თან ახდდა მამას ასპინძის ომში. გიორგი ბატონიშვიდი სასტიკი წინააღმდეგი იყო რუსთა მონაწილეობისა ბრძოლაში.

ვერ ვენდობი, ესენი ჩვენი ერთგუდნი არ არიანო, – უმტკიცებდა მამასა და სარდლებს. დამის გაიქცა ბრძოლის ვერიდან, ხედდახედ აპირებდა რუს გენერალთან შეებმას...

როგორც შემდეგ გამოჩნდა, გიორგი მართადი იყო – ტოტრებენმა ფიცხედ ომში მიატოვა ერეკლე.

მეფე გიორგი XII ერთხელ ყაზახ–ბორჩალოს მიბრძანებულა და სწვევია ერთ დარბაისედს, საქართველოს ერთგურ მოხუცებულ აღადარს.

ჩამოვარდნიდა დაპარაკი ცხენებზე და მეფეს უკითხავს მოხუცისთვის, – ყაზახ–ბორჩალოს ცხენი უწინ განთქმული იყო მთელ საქართველოში, ახდა ვი იმისთანა ცხენები აღარ გამოდიან, რა იქნენ ის უწინდელი ცხენებიო?

– იმ უწინდელ ცხენებზე ის უწინდელი ქართველები შესხდნენ და წავიდნენო, – უპასუხია გუდამომჯდარ მოხუცს.

გიორგი XII ტახტზე ავიდა მაშინ, როდესაც საქართველოს, რომელიც არ იყო გარეშე მტრებისგან დაცული, არ ჰქონდა წესრიგი საშინაო მმართველობაშიც. ქვეყანა გაძარცვულ-დარბეული იყო, ხადხს კი მძიმე გადასახადები აწვა ტვირთად; ყვერგან გავრცელებული იყო სიღარიბე და სიღატაკე .

ტფილისი წარმოადგენდა ნანგრევების გროვას. მხოლოდ ორი ქუჩა იყო თავისუფალი (განწმენდილი) მგზავრობისთვის; მაგრამ მათაც ორივე მხარეზე მიუყვებოდნენ გაძარცვული სახლები (* Изъ записокъ Тучкова. Арх. главн. шт. въ С.-Петербурге).

თავად მეფე, როდესაც იგი გადმოსახლდა დარბეულ დედაქალაქში, იძულებული შეიქმნა განთავსებულყო თავად ბებუთაშვილის ერთადერთ გადარჩენილ სახლში, სადაც იცხოვრა კიდევ მან თავის სიკვდილამდე, ორ მეტად პატარა ოთახში (* ჩაწერილია თავად დ. თ. ბებუთოვის სიტყვებიდან. იხ. ასევე письмо Коваленскаго Кноррингу 2-го декабря 1799 г. Т. А. К. Н.).

www.premiumi.ge